№ 140

შაბათი, 12 ივლისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 140

შაბათი, 12 ივლისი 7981 წ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲘᲠᲡ:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ, ᲥᲘᲨᲕᲐᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ**

აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა საყვარლისა ძმისა თვისისას, **ᲘᲔᲡᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲘᲡ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲡ**, სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად 13 ამა ივლისს დ. სურამში.

(1—139—1)

მთავრობის განკარგულებანი

**ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ**

(დასასრული *)

§ 64. დივიდენდი ამლევთ წარმომადგენელთა კრების მიერ გამგეობის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ სამის თვის განმავლობაში.

§ 65. თუ დივიდენდის პატრონი მოისურვებს, ხვედრს დივიდენდს საზოგადოების კასაში დასტოვებს, რომ ამ ფულით ახალი წილის ფული შესდგეს. თუ რომ დივიდენდს ზემოდ აღნიშნულ §-ის ვადამდე არ გაიტანს პატრონი, ფული კასაში რჩება ახალის წილის ფულად.

შენიშვნა. თუ რომ საწილო თანხა, თანხმად წარმომადგენელთა კრების დადგენილებისა, § 14-ში აღნიშნულ რაოდენობამდე მიაღწევს და ფულს მაინც არ გაიტანს პატრონი, მაშინ ამ მოჭარბებულს ფულს სარგებელი არ მიეცემა.

საზოგადოების საქმეებში გამათის გარჩევა, პასუხის-გება და საზოგადოების მოქმედებათა გაუქმება.

§ 66. საზოგადო საქმეთა შესახებ საზოგადოების წევრთა და გამგეობის წევრთა შორის გამათი და დავა, აგრეთვე გამგეობის წევრთა და საზოგადოების მიერ სხვა ამორჩეულ და კერძო კაცთა შორის ატეხილი დავა და გამათი ან უნდა წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტოს, თუ-კი ორივე მოკამათე მხარე ამისი თანახმა იქნება, ან არადა საზოგადო სასამართლოს წესით იქმნენ განხილულნი.

§ 67. საზოგადოების პასუხის-გება მხოლოდ მის საკუთარ უძრავ და მოძრავ ქონებითა და თანხით განისაზღვრება.

§ 68. თუ რომელისამე გარემოებისა გამო, ანგარიშის შემდეგ ზარალი აღმოჩნდება, ზარალი სათადარიგო თანხიდგან უნდა იქმნას შევსებული; იმ შემთხვევაში, როდესაც სათადარიგო თანხა არ ეყოფა, დანარჩენი ზარალი საწევრო წილიდგანა და სააღებ-მიცემო თანხიდგან უნდა იქმნას შევსებული. როდესაც ამ რიგად ყველა წევრთა საწილო თანხა შეცოტავდება და რომელსამე წევრს აღარც ერთი მთელი წილი არ ექნება, მაშინ წევრმა კვლავ უნდა შეავსოს თავისი წილი იმ ვადამდე, რომელსაც წარმომადგენელთა კრება დაუდებს.

§ 69. საზოგადოების არსებობას ვადა არა აქვს დანიშნული. თუ საქმეთა მიმდინარეობა საჭიროდ გახდის, რომ საზოგადოება გაუქმდეს, ამ გაუქმებას წევრთა საზოგადო კრების ორს საგანგებო სხდომაზედ გარდასწყვეტენ, თუ რომ მეორე სხდომის წინად მომხდარ სხდომაზედ საზოგადოების გაუქმების შესახებ წარმოდგენილი საბუთები არაფრით იქმნებიან დარღვეულნი.

შენიშვნა. თუ რომ დამფუძნებელ წევრთაგან ნება რთვის მიღების შემდეგ ერთის წლის განმავლობაში საზოგადოება კვლავ მოქმედებას არ დაიწყებს, მაშინ ამ ნება რთვას ძალა აღარ აქვს და ახლად უნდა გამოითხოვონ იგი.

§ 70. საზოგადოების მოქმედებათა გაუქმების დროს წევრთა საზოგადო კრება სალიკვიდაციო კამისიისათვის თავისს წევრთა შორის სამს კაცს ირჩევს და ადრევე აღნიშნავს წესსა და რიგს, თუ საზოგადოების მოქმედება როგორ უნდა იქმნას გაუქმებული. კასია გამგეობისაგან ყველა საქმეებსა ჩიბარებს. საზოგადოების გამაუქმებელნი თავისს მოვალეებს უწყებებით და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილის განცხადებით იწვევენ, ყოველს ღონეს ხმარობენ, რომ სრულიად დაკმაყოფილონ იგინი, საზოგადოების ქონებას ფულად აქცევენ და ურთიერთი შორის თანხმობით და შინაურულის მორიგებით ათავებენ საქმეს თანახმად იმ წესისა, რომელიც საზოგადო კრებამ უჩვენა. თანხა, რომელიც მოვალეების დასაკმაყოფილებლადა და სხვა სადაო საგნებისათვის არის დანიშნული, გამაუქმებლებმა ერთ-ერთს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში უნდა შეიტანონ; ვიდრე ყველა მოვალე გასტუმრებული არ იქმნება, იმ დრომდე საზოგადოების წევრნი ვერაფერს დაკმაყოფილებას ვერ მიიღებენ. თავისის მოქმედების შესახებ გამაუქმებელნი მოვალენი არიან საზოგადო კრებას ანგარიში წარუდგინონ იმ ვადაზედ, რომელიც თითონ საზოგადო კრებამვე დაუნიშნა, ხოლო საზოგადოების საქმეთა და მოქმედებათა მთლად გაუქმების შემდეგ საზოგადო ანგარიში უნდა წარუდგინონ საზოგადო კრებას.

§ 71. როდესაც წევრთა საზოგადო კრება გამაუქმებელთა საზოგადო ანგარიშს (§ 70) დაამტკიცებს, წევრებს თავიანთი წილის ფული, ხვედრი დივიდენდი და სანუქრება უვანვე უბრუნდებათ, ან ამ ფულიდგან შესაძლებელი ზარალი (§ 68) გამოირიცხულ იქნება, ხოლო დანარჩენი ქონება, თუ კი იგი აღმოჩნდება, საზოგადო რამ სასარგებლო საქმეს ხმარდება, თანხმად საზოგადო კრების დადგენილებისა, რომლისაც ადგილობრივის გუბერნატორისა (ანუ ქალაქის უფროსის) დამტკიცების შემდეგ სრული ძალა ეძლევა; ხოლო თუ გუბერნატორი (ანუ ქალაქის უფროსი) თანხმობას არ განაცხადებს, საქმე გარდასაწყვეტად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა წარედგინოს.

§ 72. საზოგადოების გაუქმების წინადაც და გაუქმების შემდეგაც, პირველს შემთხვევაში გამგეობა, ხოლო მეორეში გამაუქმებელნი ჟეროვანის განმარტებით შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობებენ ყოველივეს გუბერნატორისა (ანუ ქალაქის უფროსის) პირით, აგრეთვე აცხადებენ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, რომ ყველა წევრმა შეიტყოს.

§ 73. თუ რომ გუბერნატორმა, ან ქალაქის უფროსმა, იმ უფლების გარეშე (მუხ. 321 და 863, ტ. II კანონთა კრებ., გამოც. 1892 წ. საზოგ. საგუბ. დაწესებ.), რომელითაც მათ ნება აქვთ საზოგადო კრება დაჰხურონ, როდესაც სახელმწიფო წესისა და რიგისა, საზოგადოების მშვიდობიანობისა და ზნეობის წინააღმდეგი რამ იქნება აღ-

*) იხ. „ივერია“ № 139.

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

**ᲣᲪᲮᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ**

წმიდათა შორის ჩარიცხვა.—დღესასწაული ამის გამო.—ბერ მონაზონი ზაქარია და პეტრე ფურიე.—„Promotore della fede“ ანუ „ეშმაკის ვექილები“.—„ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.—ახალი გვირაბი ტემზას ქვეშ.—ინგლისის დედოფალი ვიქტორია და მისი შვილი-შვილი ალექსანდრე.—საბრალო მილიონერი.—ახალი დრამა ამერიკაში.—ძაღლები—აქტიორები.—ქ-ნი ლიუი მორისი.

იტალიის ქალაქ რომში, წმ. პეტრეს ტაძარში, 27 მაისს ათი ათასობით შეიკრიბა ხალხი. მიზეზი ის გახლდათ, რომ პაპმა ლეო მეცამეტემ კეთილ-ინება და წმინდანებში ჩარიცხა ეკკლესიის ორი მოღვაწე: ბერ-მონაზონი ზაქარია, დამაარსებელი ბარნაბიტთა ორდენისა და საფრანგეთის მღვდელი პეტრე ფურიე. ამ ორ კაცთა სახელის პატივსაცემლად გაიღო კარი რომის ეკკლესიის უდიდესის ტაძრისა და გაიმართა დღესასწაული, რომლისთვისაც აუარებელი ფული დაიხარჯა. ეტყობა, პაპმა ლეო მეცამეტემ მოისურვა ერთხელ კიდევ დაენახვებინა მთელის ქვეყნისთვის სიდიადე, ძლიერება და სიმდიდრე პაპის ტახტისა.

წმიდათა შორის ჩარიცხვის გამო დღესასწაულისთვის აუარებელი ფული იხარჯება ხოლმე რომში. ზემოხსენებულ მღვდლის ერთი ჩამომავალი თითონ იყო პაპთან და თვისის წინაპარის პეტრე ფურიეს ჩარიცხვისათვის წმიდათა შორის 100,000 ფრანკი წარუდგინა. გარდა იმ ხარჯისა, რომელიც საჭიროა თვით დღესასწაულისათვის, აუარებელი ფული იხარჯება ქრთამზედ, რომელსაც იღებს ყველა, ვინც-კი რომის კონსისტორიაში მსახურობს. ამბობენ, მაგალითად, რომ მღვდლის პეტრე ფურიეს ჩარიცხვა წმიდათა შორის სენ-დიეს ეპარქიას ერთ მილიონზედ მეტად დაუჯდაო. ვის მიაქვს ამოდენა ფული და რაზედ იხარჯება? მღვდლების შესამოსად იღებენ 500 ოქროს, წმიდათა შორის ჩარიცხვისათვის საჭიროა 1000 ოქრო და სხვა. მაგრამ უფრო დიდი ფული-კი იმ ბერებს მიაქვთ, რომელთაც სახელად ეწოდებათ „Promotore della fede“. ეს საპატიო სახელი ეკუთვნით ღვთის მეტყველების მცოდნეთ. ამათი მოვალეობა არის: შეაგროვონ და გამოამჟღავნონ ისეთი ამბები, რომლებიც-კი წინააღმდეგი გამოდგება წმიდათა შორის ჩასარიცხ კაცისათვის. ამ ბრალდებულთ იტალიაში „ეშმაკის ვექილებს“ ეძახიან და სწორედ ამათვის არის საჭირო დიდი ქრთამი. ქრთამის გარდა, „ეშმაკის ვექილებისათვის“ ნიხრია დაწესებული, რომლის მიხედვით ფულს იღებენ კრებებზედ დასწრებისათვის. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ უკვე გაჩარხული საქმე განსვენებულთა ჩარიცხვისა წმიდათა შორის შეჩერდება ხოლმე იმის გამო, რომ მთხოვნელთ ფული შემოაკლდათ და ამ საქმეებს „ეშმაკის ვექილები“ ზედ აწერენ: „adhuc dormiunt“—აქამდე სძინავთო. ჩვენი ანდაზა—ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო—სიმართლეს არა ყოფილა მოკლებული. თავადის ფალკონიერის ერთი წინაპარი წმიდათა შორის იქმნა ჩარიცხული. ყოველივე ხარჯი მისს ნათესავს გამოერთვა და ეს სახელი კარგა ძვირად დაუჯდა თავადს. ამბობენ, სახლში რომ დაბრუნდა, თვის შვილებს დაუძახა და უთხრა: „ძვირფასო შვილებო! იყავით ანგელოზებად, ხოლო წმინდანობა არ მოინდომოთ: ძლიერ ძვირადა ჯდება“.

წმიდათა შორის ჩარიცხვისათვის დიდის ფულის გარდა დიდი დრო და ჟამია საჭირო. მღვდლის პეტრე ფურიეს საქმე წმიდანად ჩარიცხვისა დაიწყო 1730 წელს და წლეულს ძლივს დამთავრდა.

მონეფალკოს მცხოვრები ქალი კლარა გარდაიცვალა 1308 წელს და წმიდანობას მხოლოდ 574 წლის შემდეგ ეღირსა ე. ი. 1882 წელს. ორლეანელი ქალწული ჟანნა-დარკი ჯერაც ვერ ეღირსა წმიდანობას. ერთმა პრომატორმა სარწმუნოებისამ ანუ „ეშმაკის ვექილმა“ საიდგანღაც მოაჭორა, ჟანნა დარკს ვილაცასაგან შვილები ჰყავდაო. „წმიდა გულის“ ორდენის დამაარსებელის მარიამ ალიაკოვის საქმემ წმიდათა შორის ჩარიცხვისამ 149 წელს გასტანა.

ერთი დიდი სიკეთე მოჰყვა მღვდლის პეტრე ფურიესი და ბერის ზაქარიას ჩარიცხვას წმიდათა შორის. ეკკლესიის მორთვამ, დეკორაციების გამართვამ და სხვა მრავალგვარმა მორთულობამ საქმე აღმოუჩინა მრავალ ღარიბ ხალხს.

***

რომის პაპი ერთი ათად მეტს დროს უნდება, რომ ვინმე წმიდანად აღიაროს, ვიდრე ინგლისელები უშველებელის და საოცარის გვირაბის გამართვას. ასე გასინჯეთ, გვირაბის გამართვაზედ ფულიც-კი ნაკლები იხარჯება. 10 მაისს, პრინცის უელის თანადასწრებით, დიდის ამბით აკურთხეს მესამე გვირაბი, რომელიც მდინარე ტემზას ქვეშ არის გაყვანილი. პირველი გვირაბი გაკეთდა 1820 წელს, მეორე—1869 წელს. მესამე გვირაბს სახელად ბლეკვულის გვირაბი ეწოდება; სიგძე 940 საჟენი აქვს, სიგანე—4 საჟენი. ამ სიგანე გვირაბი მთელ დედამიწის ზურგზედ არსად არის. ინგლისელები ამ გვირაბით ძლიერ ამაყობენ. ლონდონის ქალაქის მმართველობას განძრახვა აქვს ეხლა მეოთხე გვირაბიც გაჰმართოს მდ. ტემზას ქვეშ.

***

რაკი ინგლისელებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთს ამბავს მოგახსენებთ, დედოფალ ვიქტორიასა და 10 წლის პრინცის ალექსანდრეს ცხოვრებიდგან. პრინცი ალექსანდრე შვილია პრინცესა ბეატრისასი და შვილიშვილია დედოფალ ვიქტორიასი. პრინცს ერთხელ დედამ ერთი ოქრო მისცა. პრინცმა იმავე წამს დაჰხარჯა და ახლა მეორე ითხოვა. დედა გაუჯავრდა და უარი უთხრა ფულის მიცემაზედ. მაშინ პრინცმა ბებიას მიჰმართა წერილით და სთხოვა: ფული გამომიგზავნეთ, ისე ძლიერ მიჭირს, რომ მეტი არ შეიძლებაო“. დედოფალმა ვიქტორიამ უკვე იცოდა ერთს წუთში ერთს ოქროს გაფლანგვის ამბავი და ამიტომ პრინცს ალექსანდრეს გაუგზავნა... ვრცელი წერილი. წერილში იყო დარიგება და დატუქსვა ბედოვლათობისათვის. ორის დღის შემდეგ დედოფალ ვიქტორიას შემდეგი წერილი მიუვიდა 10 წლის პრინცისაგან: „ძვირფასო ბებიავ! თქვენი წერილი მივიღე და გარწმუნებთ, რომ სრულებით არ გამდურით დატუქსვისათვის. თქვენი კეთილი რჩევა და დარიგება დააფასა მეფეთა ხელთ ნაწერების ერთმა მოყვარულმა და 4 გირვანქა სტერლინგათა და 4 მილინგად მივყიდე“.

ბრიტანიის დედოფლის ყველა ქვეშევრდომთ რომ 10 წლიდგანვე ასეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინონ ვაჭრობისა, ინგლისის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს და მსოფლიო ვაჭრობაში გერმანია ვერაფერს დააკლებს.

***

გაზეთებმა შეგვატყობინეს, რომ მილიონების პატრონმა კაცმა გვარად

მოჩენილი,—რაიმე მიზეზისა გამო საჭიროდ სცნო, რომ საზოგადოებას გაუქმოს, მაშინ საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს გარდასაწყვეტად.

შენიშვნა. როდესაც საზოგადოებას გუბერნატორისა (ან ქალაქის უფროსის) განკარგულებით უქმდება, მაშინ ამათვე დამოკიდებული დაუნიშნონ დრო, როდის და რა წესითა და რიგით უნდა მოხდეს საზოგადო კრება საზოგადოების საქმეთა გაუქმების შესახებ, ამავე დამოკიდებული საქმის დასაბოლოვებელ კამისიის წევრთა ამორჩევა საზოგადოების წევრთაგან.

მოქმედება ამ წესდებისა, ორისავე გარიანტით, პრივისლის მხარის გუბერნიებს არ შეეხება.

—

გადაყვანილ იქმნენ: სამარსკის ოლქის პირველი ხარისხის გამმიჯვნელი ტიტულიარნი სოვეტნიკი კორინთელი კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორთან პირველი ხარისხის გამმიჯვნელად; ფოთის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელე ნადირაძე—სენაკის სამაზრო ხაზინის მოხელედ.

# ახალი ამბავი

—

*** გზათა მინისტრს თავ. მ. ი. ხილკოვს ბორჯომს წასვლა აღარ უსურვებია და პირდაპირ ტფილისში ჩამოვიდა გუშინ, 11 ივლისს, ღამის 12 საათზედ.

*** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა წმ. ბარბარეს მახლობლად ხევზედ ხიდის გაკეთების შესახებ. ამ ხარჯთ-აღრიცხვით ხიდის აშენებას 3,500 მანეთი დასჭირდება.

*** 3 ივლისის უმაღლესის ბრძანებით ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე განთავისუფლებულ იქმნა თავისის თანამდებობისაგან. („Прав. Вѣст.“)

*** გუშინ, 11 ივლისს, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ჰქონდა ქალაქის უძრავ მამულების დამფასებელ კომისიის შეერთებულ საკრებულოს. საკრებულომ ამ სხდომაზე მხოლოდ ზოგიერთი საქმე განიხილა. შემდეგი კრება შეერთებულს საკრებულოს 14 ივლისს ექმნება, რომელზედაც, სხვათა შორის, მამულების დამფასებლები იქმნებიან ამორჩეულნი.

*** ბორჩალოს მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი დეპეშით ატყობინებს ტფილისის გუბერნატორს, რომ 9 ივლისს, ღამე, შეტაკების დროს ბორჩალოს ბოქაულმა ყანჩელმა და ამავე მაზრის გამგეობის საქმის-მწარმოებელმა ბარათაშვილმა მოჰკლეს ყაჩაღი შიხილინსკი მაჰმად ქარიმ-ოღლიო.

*** როგორც „ნოვ. ობოზ.“ იუწყება, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ მომავალ სამასწავლებლო წელიწადს წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მერვე კლასიც იქმნას დაარსებული.

*** სოფ. საგარეჯო (ტფილისის მაზრა). პეტრე-პავლობა დღეს აქ რამდენიმე ახალგაზდა ქალმა და კაცმა წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო, რადგანაც ამ დღეს ობაიცის ჩვენში და სხვა სოფლებიდგანაც ბევრმა მოიყარა თავი. მოთამაშეთ ყველამ კარგათ შეასრულეს როლები და ხალხი ნასიამოვნები დაბრუნდა შინ. უბედურება ეს არის, რომ ფარდული ვერ არის კარგად მოწყობილი წარმოდგენების გასამართავად. ყველა მხრით ფარღალალაა. უბრალო ფარდებიც კი არ აქვს ჩამოფარებული, რის გამოც ბევრი უბილეთოდ ესწრება ხოლმე წარმოდგენას. გარდა ამისა ათას გვარი ყვირილი და ხმაურობა ნებას არ აძლევენ დამსწრეთ ყურადღებით მოისმინონ პიესის შინაარსი.

*** სოფ. ფარცხნალი (შორაპნის მაზრა). სოფ. ფარცხნალში ხარაგაულის ახლოს, გლეხის ბუაჩიძის ადგილში გამოჩნდა ნავთი; ჯერ-ჯერობით კლდეში გამოდის, მაგრამ შინჯეს და სამ ადლზედ იმის გარეშემოც ამოვიდა. შესაძლებელია აქ ნავთმა ბლომად იჩინოს თავი, სხვათა შორის ამ ერთის წლის წინად იქვე ახლოს, შარიქაძის ადგილში, გამოჩნდა კუპრი, მაგრამ მეწყერმა გადიარა და დაჰფარა. შესანიშნავი ის არის, რომ ამ ადგილს ძველადვე კუპრიანები რქმევია და ეხლაც ამ სახელწოდებით იხსენიებენ.

*** სოფ. ხიდარი (შორაპნის მაზრა) 28 ივნისს აქ ერთი უბედურება დატრიალდა. შუაღამისას გლეხის მურძაყან ბერაძის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლმა პირველად საწოლში იჩინა თავი და შემდეგ მთელი სახლი ალში გაეხვია. შიგ მცხოვრებლებმა ვერაფერი ვერ გაიგეს, ვიდრე ისევ მეზობელმა, რომელიც თავის სახლის აივანზედ წოლილიყო, კარები არ შეამტვრია და მძინარენი არ გააღვიძა. ადამიანთაგანი დაწვით არ ვინ არ დამწვარა, ხოლო სახლი ავეჯითა და ქონებით გადიწვა. სახლის პატრონი ცოლშვილით პერანგის ამარანი იდგნენ, სტიროდნენ და დილამდის სახლის დამწვარ ფერფლსაღა შესჩერებოდნენ. ამ ამბავმა მთელი სოფელი ფეხზედ დააყენა, ყველა წყლით საშველად მირბოდა, მაგრამ რას გახდებოდნენ, ახლო-მახლო ნამშრალებიც ძლივს გადაარჩინეს. საბრალო გლეხი მურძაყან ბერაძე სიძემ შეიხიზნა ცოლშვილით სახლში და თავისი ტანისამოსი ჩააცვა.

## საზაფხულო პედაგოგიური კურსები

8 ივლისს ბ-ნმა კრავჩენკომ საბოსტნე ღუმელებისა, ბოსტნის დანაწილებისა, ერთსა და იმავე ნიადაგზედ ბოსტნეულობის შეცვლის საჭიროების თესლის და იმის შენახვის შესახებ წაიკითხა ლექცია. მერე წაიკითხა, თუ როგორ უნდა ბოსტნეულობას გაღუება და თესვა, როგორ უნდა გაკეთდეს ნერგი და გადირგოს, როგორ უნდა მორწყვა და სხვ. ბ-ნმა ტურჩევსკიმ ვაზის რქის არჩევისა, რქის ჩაყრისა, არხების გაკეთებისა, ვაზის გადარგვისა, გასხვლისა, ვენახისა თუ ბაღის ალვის ხეებითა და ღობით შემოზღუდვისა, ხეხილის გამრავლებისა, ხეხილის გაზრდა-გასხვლისა და სხვ. შესახებ წაიკითხა ლექცია. ამავე დღეს ლექტორებმა ყოველივე ნათქვამი თვალ-საჩინოდ აჩვენეს ბაღში. ესევე მოიქცნენ 9 ივლისსაცა და მოიქცევიან, ვიდრე მეცადინეობას გაათავებენ. შემდეგ მასწავლებელნი სააბრეშუმო სადგურში გადავლენ და აქ მოისმენენ აბრეშუმის მოყვანა-წარმოების შესახებ ლექციებს; აქავე გააცნობენ ფუტკრის სხვა-და-სხვა გვარად მოვლა-მოშენებას.

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ ლექტორები დიდად ბეჯითადა და ერთგულად ეკიდებიან საქმესა. ბ-ნ ტურჩევსკის საუბარი ხომ მოუწყენელია. იგი თითოეულს სიტყვას სულს უდგავს, ყოველის ღონიძიებით სცდილობს თითოეული სიტყვა მსმენელთა გონების სიღრმეს ჩააწვდინოს, რომ ნათქვამმა სასურველი კვალი დასტოვოს. ასეა დღეს საქმე, ხოლო რამდენად ნაყოფიერი გამოდგება ეს მეცადინეობა, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იგი მასწავლებლებზედ, თუ ამ სიცხემ ხელი არ შეუშალათ და ბოლომდის ერთგულად შესძლეს ლექციების მოსმენა. კურსებზედ მეცადინეობას ყოველ დღე ესწრებიან მ. რექტორი ტფილისის სემინარიისა, რომელიც ხშირად დილითაც დაიარება და სადილს შემდეგაც, სამრევლო საეკლესიო სკოლების საეპარქიო ზედამხედველი ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი, რომელიც მუდამ თვალს ადევნებს ყოველ გვარს სამუშაოს, ზედამხედველი სკოლისა ბ-ნი ტიმოფეევი, რომელიც ხელმძღვანელობს და ჰშველის ლექტორებსა. იგივე უკითხავს ხეხილისა და ვაზის ავადმყოფობათა შესახებ ლექციებს. მეოთხე ლექტორად ბ-ნი ჯაფარიძეა. იგი ასწავლის, როგორ უნდა გაახმონ და შეინახონ სხვა-და-სხვა მწვანილეული და მცენარეები. ესწრებიან აგრეთვე სამრევლო საეკლესიო სკოლების სამაზრო ზედამხედველები, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ და, თუ საჭიროება რამე ექმნებათ მასწავლებლებს, ყოველსავე ამას მთავრობას ატყობინებენ.

ამათ გარდა კურსებზედ ლექციების კითხვას ესწრებიან ადგილობრივის საბაღოსნო სკოლის მოსწავლენი და ზოგიერთა გარეშე კაციც. ამათ შორის მაყურებელთა ყურადღებას იზიდავს თელავიდგან ჩამოსული ახალგაზდა თავადი ვახვახიშვილი. მართლაც და სასიამოვნო მოვლენაა, რომ ჩვენის თავად-აზნაურობის ახალგაზდობასაც სურვილი უღვიძდება სამეურნეო ცოდნის შეძენისა. სამეურნეო საგნების კურსები თითქმის ყოველ წელიწადს იმართება ბ-ნის მზრუნველის

---

ბორნატომ თავი მოიკლაო. ჯერ არავის არა სჯეროდა ეს ამბავი; რათა და რისთვისაო? მდიდარმა კაცმა რათ უნდა მოიკლას თავიო, განა რა გაუჭირდებაო და სხვ. მაგრამ მერეკი ყველანი დარწმუნდნენ, რომ ბარნატომ მართლა თავისის ნებით ზღვაში თავი დაირჩო. ბარნატოს ისტორია ძლიერ საყურადღებოა. ზოგი ამბობს—პირველად ბარნატო ცირკში იყო კლოუნადაო, ზოგი კი ამტკიცებს—რესტორანში მოსამსახურედ იყოვო. ზოგი კიდევ ამბობს—ძველის ტანისამოსით ვაჭრობდაო. თვით ბარნატომ ერთხელ თავისს თავზედ ილაპარაკა:

ათას გვარ ამბებს იგონებენ იმის შესახებ, მე როგორ გავმდიდრდი. აი ჩემი თავ გადასავალი. ლონდონიდგან ტრანსვაალში რომ მივედი, ჯიბეში ერთი გროში არ მქონდა. ამ დროს იქ ერთი ცირკი იყო და კლოუნი არა ჰყავდათ. მთხოვეს—კლოუნად შემოდიო და მეც დავეთანხმე. მერე მკითხეს:—„ჰამლეტში“ ხომ არ ითამაშებო.—დიდის სიამოვნებითა-მეთქი, ვუპასუხე. მხოლოდ იმ პირობით-კი, თუ თვით ჰამლეტის როლს მათამაშებთ. სამწუხაროდ, ჩემი ასრულება ჰამლეტის როლისა ვერაფრად მოეწონათ რეცენზენტებს. მეორე დღეს გაფაციცებითა ვშლიდი გაზეთებს, მაგრამ არც ერთმა არც-კი მომიხსენია. არც კი იკადრეს ჩემზედ წერა. ბოლოს ერთი მეგობარი მოვიდა და მკითხა: „წაიკითხე, თუ არა დღევანდელი „Daily News“—„არა,—ვუპასუხე მე,—მაგ გაზეთს არა ვკითხულობ. —ძლიერ დაგიშავებიათო,—მითხრეს. —დღეს თქვენზე სწერია“. იმ წამსვე გავგზავნე გაზეთის საყიდლად. აი რა ეწერა: „ცნობილმა კლოუნმა ბარნატომ ეხლა დრამაში მოიწადინა თამაშობა. ჩვენ ვურჩევთ ამ საქმეს თავი დაანებოს და სხვა ხელობას მოჰკიდოს ხელი“. მეც ასე მოვიქეცი და უნდა მოგახსენოთ, არა ვნანობ, რომ თეატრზე ხელი ავიღე“.

ამგვარად ბარნატომ სცენას თავი დაანება, დაიწყო ვაჭრობა და მალე გამდიდრდა კიდეც. პირველად რომ აფრიკაში მივიდა ბარნატო, ერთს სასტუმროში შეჰხვდა ძვირფასის თვლების მადნების დირექტორს. ბარნატომ უთხრა, აქ ბედის საცდელად მოვედიო.—ტყუილად შეწუხებულხართ,—უპასუხა დირექტორმა,—გირჩევნიან შინ წახვიდე. მე უკვე გადავთხარე ამ ქვეყანაში ის ადგილები, სადაც ძვირფასი თვლები მოიპოვება. 23 წლის შემდეგ გამდიდრებული და სახელ განთქმული ბარნატო კიდევ შეჰხვდა ამავე კაცს. დირექტორმა ჰკითხა—ეგ რა ბედი გეწვიათ? რამ გაგამდიდრათო?—იმან,—რომ თქვენს რჩევას არ ავყევი და აფრიკაში დავრჩიო,—უპასუხა ბარნატომ.

აფრიკაში რომ მივიდა ბარნატო, მესამე წელსვე ოქროს მადანი იყიდა კიმბერლეიში, მერე—მეორე, მესამე და ბოლოს დროს თვისი მადნები ერთს საზოგადოებას მიჰყიდა 40 მილიონად. 1895 წელს ყველა ამბობდა, ბარნატოს 80—800 მილიონი უნდა ჰქონდესო. სჩანს, ძლიერ ძნელი ყოფილა სხვის ჯიბეში ფულის დათვლა. მაგრამ, ვინ იცის, სოფელი კაცს „სად აუთხრის ბოლოს ძირსა“. უკანასკნელ დროს ხმა გავრცელდა—ბარნატო კოტრდებაო. ბარნატო სცდილობდა მილიონები ხელიდგან არ გაეშვა, დღე და ღამ ფიქრსა და შრომაში იყო, ეშინოდა დღევანდელი მილიონერი ხვალ გლახაკად არ გადავიქცეო და სწორედ ამ ფიქრმა მოუღო ბოლო. ამბობენ, ბარნატო ჭკუაზედ შესცდა და იმიტომ მოიკლა თავიო.

ბარნატო ურია იყო. პატარაობისას ვიტეშაპელის ურიების სკოლაში სწავლობდა. მასწავლებელს ძლიერ შეუყვარდა და გამოთხოვების დროს წვრილი ფული აჩუქა. 30 წლის შემდეგ ბარნატო ამ სოფელში მოვიდა, მოსძებნა მოხუცი, ღარიბი მასწავლებელი, დიდ-ძალი ფული აჩუქა და უთხრა: ეს სარგებელია იმ წვრილის ფულისა, 30 წლის წინად რომ მაჩუქეო. ბარნატო ძლიერ კეთილის გულის კაცი იყო. ერთხელ გაზეთში ამოიკითხა „Petticoat Lane“-ში ხალხი ძლიერ გაჭირვებული არისო და 5 ათასი მანათი გაჰგზავნა ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

***

ამერიკის თიატრებში ამ ჟამად ერთს დრამასა თამაშობენ, რომელშიაც უმეტეს როლებს ძაღლები ასრულებენ თურმე. დრამას სახელად ეწოდება „ისარი“. დრამის შინაარსი შემდეგია: რკინის გზის მეისრე ვიღაცას მოუკლავს და იქვე დარჩენია დანა. ამ დანის შემწეობით მკვლელი უნდა იპოვნონ, მაგრამ ავაზაკის ძაღლი „ტოუერი“ დანას გამოსცვლის და მკვლელს გადაარჩენს. მეორე მოქმედებაში მკვლელს მოწამლვას უპირობენ, მაგრამ ეხლა მეორე ძაღლი „ლეო“ იხსნის სიკვდილიდგან და მომწამვლელს საწამლავით სავსე შუშას ამოაცლის ჯიბიდგან. მესამე მოქმედების დროს ერთი ქალი წყალში გადავარდება, მაგრამ სენ-ბერნარის ძაღლი გამოიყვანს და სიკვდილს გადაარჩენს. ამავე დროს ერთს ავაზაკს უნდა მოჰკლას ეს ძაღლი, მაგრამ აქვე გაჩნდება მეორე ძაღლი ბულდოგის ჯიშისა და იმ ძაღლსა და ქალს გადაარჩენს. მეოთხე მოქმედება ძლიერ საყურადღებოა. სცენა წარმოადგენს რკინის გზის ლიანდაგს. ავაზაკს ქალი რელსებზედ დაუბავს თოკით და, მეისრე რომ ვერ მიეშველოსო, ისიც ბანგით დაუძინებია. მეისრეს ერთგული ძაღლი „დიუკი“ ბანგიან ხელცახოცს მოხსნის და ამით დაიხსნის. მატარებელი გაჩქარებული მოდის. ჭკვიანი ძაღლი „ტაუერი“ მივა ისართან და მატარებელს აჩერებს. ამავე დროს ერთი ძაღლი, სახელად „პრინცი“ იმ თოკს გადაღრღნის, რომლითაც ქალია დაბმული რელსებზედ და ლიანდაგიდგან გადიტანს. მატარებელი გაჩერდება. მგზავრები გადმოვლენ, მოაბრუნებენ გულ წასულ ქალს და გადარჩენას მიულოცავენ. მეხუთე მოქმედებაა. ძაღლი, სახელად „გმირი“ ისევ იმ ავაზაკს მოპარულ ანდერძს მოჰპარავს და იმას გადასცემს, ვის სასარგებლოდაც არის ეს ანდერძი დაწერილი და ამგვარად გაამდიდრებს.

***

ამერიკაშივე, სახელდობრ ბალტიმორაში, სცხოვრობდა ერთი ქალი, სახელად ლიუსი მორისი. 11 წლისა რომ შეიქმნა, თან და თან ისე გასუქდა და დასქელდა, რომ საოცარ სანახავს წარმოადგენს თურმე. ამ ქალის სიმძიმე 17 ფუთამდეა თურმე. ახალგაზდა, ჩასუქებული მისს ლიუსი მორრისი დადის სხვა და-სხვა ქალაქებში და სიმსუქნითა თვისითა აკვირვებს ამერიკელებს, იმ ხალხს, რომელსაც ვერაფერი ვერ გააკვირვებს ხოლმე. ქალბატონი მორისი დადის ველოსიპედით და ისე ცეკვავს, რომ დედამიწის ზურგს ზანზარი გააქვს. რა კარგი იქნებოდა, ეს ქალი რომ ტფილისში ყოფილიყო. „პურ-ღვინოს“ სასტუმრო იმ წამსვე იმის სურათს დაჰბეჭდავდა გაზეთში და საქვეყნოდ გამოაცხადებდა; ჩვენს რესტორანში სადილობს ეს ქალი და იმიტომ არის ეს მსუქანიო.

ა. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებით. თუ ჩვენი ახალგაზდობა, რომელიც რაიმე მიზეზის გამო სწავლის დამთავრებას ვერ ჰღირსებია, დაბრუნებულა შინ მოუმზადებელი და სურვილი-კი აქვს სწავლის შეძენისა ამ კურსებს დაესწრება, ლექციებს მოისმენს—ჰეშმარიტად დიდად სანატრელია. დღევანდელს გარემოებაში, როცა რიგიანი სამეურნეო სკოლა არ მოგვეძევება, როცა ამ საქმეს მტერი უფრო ბევრი ჰყავს, ვიდრე მოკეთე, სწორედ სასურველია, რომ ამგვარს სამეურნეო კურსებზედ რაც შეიძლება ბევრმა ქართველმა მიიღოს ხოლმე მონაწილეობა; საქმე ისაა, რომ სამეურნეო საგნების კურსები მუდამ ზაფხულს იმართება და ამასთან ტფილისში, რაიცა მრავალს მსურველს უშლის ხელს, რომ ამ კურსებზედ დაესწროს, რადგანაც სოფლის მცხოვრებთ, დიდს თუ პატარას, ზაფხულში მრავალი საქმე აქვს; თითონ ტფილისიც ზაფხულის საქმეებზედ ნაკლებად ხელის შემშლელი არ არის სოფლელ მსურველთათვის, რადგანაც აქ ცხორება დიდს ხარჯს თხოულობს. ამისთანა კურსები რომ სამაზრო ქალაქებში იმართებოდეს და უფრო შეფერებულს დროსა, ეჭვი არ არის, მსურველი ერთი ათად მეტი იქმნებოდა და ნაყოფიც შედარებით მეტი მოჰყვებოდა რადგანაც არაფრით არ შევიწროვდებოდა დამსწრე ახალგაზდობა, არც საქმისაგან მოცდენით, არც ხარჯით.

სამეურნეო საგნების შესახებ ლექციების კითხვა 21 ივლისს გათავდება და შემდეგ სამაგალითო გაკვეთილები დაიწყება. სხვათა შორის, ამავე დროს ზოგიერთი საპედაგოგო საკითხიც იქმნება განხილული.

ნადიკვრელი

## ფიქრი და შენიშვნები.

აწ განსვენებული შესანიშნავი რუსეთის პუბლიცისტი შელგუნოვი, რომელიც მუდამ დარაჯად ედგა რუსეთის აზრის მოძრაობა-მიმართულებას, ძალიან კარგის შეხედულებისა იყო ოთხმოც-და-მეათე წლების თაობის შესახებ, იმ თაობისა, რომელიც შელგუნოვის სიცოცხლის დროს ჯერ მხოლოდ ემზადებოდა ცხოვრების სარბიელზედ სამოღვაწეოდ გამოსასვლელად და რომელიც ეხლა, ჩვენს დროს, მედგრად შეჰბმია ცხოვრების უღელ ჰაპნის ზიდვას. რადგანაც რუსეთის თაობის მიმართულებასა და ქვეყნიერობაზედ შეხედულობას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონია ჩვენის თაობის გონების მოძრაობა-ვითარებაზედ, ამისათვის ურიგო არ იქმნება ვიცოდეთ, ეს შესანიშნავი პუბლიცისტი როგორ ახასიათებს ამ თაობის წარმომადგენელთა სულთა სწრაფვას. მით უმეტეს საყურადღებო და საპატიო ფას-დასადებია ეს შეხედულება შელგუნოვისა, რომელმაც ისეთი სიყვარული, თაყვანისცემა დაიმსახურა რუსეთის მოაზრე, განათლებულ ახალგაზდობისა; მას თითქმის ყველასთან სულიერი კავშირი ჰქონდა, ყველასაგან წერილები მოსდიოდა, რჩევა-დარიგებასა და გზის ჩვენებასა სთხოვდნენ; სწერდნენ თავიანთს სულიერს ვითარების მდგომარეობის შესახებ, რას ეტანებოდნენ, რას აკეთებდნენ; უცხადებდნენ თავიანთს მისწრაფებას უკეთესის მერმისისაკენ და თანამედროვე ცხოვრების წეს-წყობილების უკმაყოფილებას. ამ დაკვირვებისა და წერილებიდგან შელგუნოვმა დაასკვნა, რომ „რუსეთის ახალთაობას შორის, თუმცა ყრუ, მაინც დიდი მოძრაობაა, რომ დიდის ხნით მიძინებულმა აზრმა გამოიღვიძა, ეძებს დაკმაყოფილებას, პასუხს იმ საგნებისას, რომელნიც-კი ცხოვრებას წინ წამოუყენებიაო“. (соч. Шелгунова).

მართლაც სამართლიანად უნდა აღიაროს კაცმა, რომ ახალმა თაობამ დიდი უნარი და თავ-გაწირულება გამოიჩინა ხალხის საკეთილდღეო სამსახურისათვის 1892 წელს, როდესაც მთელს რუსეთს შიმშილობა და მერე ხოლერა ეწვია. ყველა თავ-დავიწყებით მიისწრაფოდა სოფლად ჩაგრულ-ტანჯულთა და უმეცრებით მოცულ ხალხის ტვირთის შესამსუბუქებლად. ეს სწორედ საზოგადოებრივის აზრის გამოფხიზლების, სამოქალაქო და კაცთ-მოყვარულის გრძნობების განცხოველების ხანა იყო. ჩვენშიაც თავი იჩინა აზრის გამოფხიზლებამ, თუმცა არა ისეთის სავსებით, როგორც რუსეთში, მაგრამ ჩვენს ახალ თაობასაც ჰსურს როგორმე თავი დააღწიოს აწინდელს უფერულს ცხოვრებას, უნდა რაიმე გზით ცრემლი მოსწმინდოს ჩვენის ხალხის უმრავლესობას. ამ ახალ თაობის წარმომადგენელთ შეიგნეს, რომ რადგანაც მკაცრი სინამდვილე — ცხოვრება კაცს მრავალგვარ დაუძლეველ-დამაბრკოლებელ გარემოებას უყენებს წინ, ერთბაშად არ შეიძლება სამშობლო ერის გაბედნიერება, არ შეიძლება ხალხი სწრაფად და ერთის თვალის დახამხამებაზედ ყოველმხრივ კმაყოფილი შეიქმნეს. ცალიერის იდეალებით და უნიადაგო გატაცებით ცხოვრებაში ბოროტებას ვერ მოვსპობთ, საჭიროა ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლა, მისი სიავკარგის გაგება, რა არის ღირსი შეცვლისა, გადაკეთებისა. ამასთან ყოველთვის თვალ-წინ უნდა გვედგას სიძნელე სცხოვრების უკულმართობასთან ბრძოლისა. ერთის სიტყვით, ნათელ-გამორკვეული შეხედულება უნდა ჰქონდეს ქვეყნიერობაზედ და ეს შეხედულება ისე შესისხლ-ხორცებული და ჩაწნული უნდა ჰქონდეს თავისს გონება ზნეობრივ არსებობასთან, რომ არავითარიმე წინააღმდეგობა და განსხვავება არა ჰსუფევდეს სიტყვასა და საქმეს შორის. ამ ნათელ შეხედულების შექმნაზე დიდი გავლენა ჰქონდა იმ დროს მომქმედ რუსეთის სამოც და-მეათე და მეოთხმოცე წლების დასაწყისის თაობის ცხოვრებას. მათმა სპეტაკმა აზრებმა და იმავ დროს ნაღველდარდითა და მწუხარება-სასოწარკვეთილებით მოცულმა ცხოვრებამ დიდად იმოქმედა იმათს მგრძნობიარე გულ-გონებაზე და თვალები აღახილვინა სწორე და საკეთილო გზის დასანახად. ამისათვის საჭიროა ამ თაობის შესახებ ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

ამ სამოც-და-მეათე და მეოთხმოცე წლების დასაწყისს რუსეთის თაობას თავდავიწყებამდის უყვარდა მშობელი ხალხი, მზად იყო თავისი თავი მსხვერპლად შეეწირა ხალხის კეთილდღეობისათვის. ამ თაობის წარმომადგენელნი ცხოვრების სარბიელზედ გამოსასვლელად აღჭურვილნი იყვნენ საერთო სიყვარულის იდეალების შეურყეველის რწმენით და ცხოვრებაში მათის ადვილად და მალე განხორციელების იმედით. ყმაწვილურის აღტაცებითა და გულ-უბრყვილოდ სწამდათ ყოვლად შემძლებლობა იდეიისა და ამ იდეის სახელით იწვევდნენ ყველა თანამოძმეთ შეერთებულიყვნენ საზოგადო საქმისათვის საშრომლად. მაგრამ იმავ დროს მხარ და მხარ ამ აღტაცებულის რწმენისა და იდეალების თაყვანებისა მათში ადგილი ჰქონდა შავ-ბნელს ეჭვსა და სასოწარკვეთილებას, რადგანაც ნატვრა-სურვილი ცხოვრების უეცრად გადახალისებისა მათის იდეალების მიხედვით არ უსრულდებოდათ. ეს გარემოება უსაზღვროდ სტანჯავდა მათ და გულს უცრუებდა ყველა საზოგადო საქმეზედ. ზედმიწევნით ახასიათებს იმ თაობის სულიერს მისწრაფებასა და მის უნაყოფო მოქმედებას იმ დროინდელი რუსეთის მწერალი ნოვოდვორსკი.

ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენის აწ მომქმედის თაობის მოღვაწეობამ დასაწყისშივე სასურველი, ცხოვრების პირობა ვითარებასთან შეხამებულ-შეფერებული, მიმართულება მიიღო. ამათ კარგად შეიგნეს, რომ ხალხის გაბედნიერებას, ტანჯვა-მწუხარებიდგან გამოხსნას დიდის ხნის დაუღალავი განუწყვეტელი შრომა და შეერთებულ-შეკავშირებული ძალ-ღონე სჭირია. ერთი კაცი, თვით გენიოსიც რომ იყოს, ერთბაშად ვერ შესცვლის აწინდელს წეს-წყობილებას. წინ სვლა, მხოლოდ შეამხანაგება, საერთო უღელში შებმით მოხერხდება. სიტყვის საქმედ ქცევის მოწადინებასურვილის წყალობით ჩვენს დაბასოფლებში რამდენიმე კოოპერატიული დაწესებულებანი მოგვეძებნება, რომელთაც შეამხანაგების საგნად ჩვენის ერის უკიდურესს ქონება-გონებაზნეობრივ მდგომარეობიდგან გამოხსნა გაუხდიათ. უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი ერთად-ერთი ხსნა-იმედი „ამხანაგობათა“ გამრავლებაში (თითქმის ყოველს სოფელში) არსებობს..-

ე. მ—შვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. სტეფანწმინდა** (ხევი), 25 ივნისი. ჩვენ სოფელში ეს მეხუთე წელიწადია, რაც არსებობს ერთ-კლასიანი სკოლა. ამ ხნის განმავლობაში სკოლაში უსწავლიათ 115 ვაჟს და 20 ქალს. სწავლა გაუთავებიათ 30 ვაჟს და 5 ქალს. 135 მოსწავლეთაგან 8 ვაჟი და ერთი ქალი შესულა სხვა-და სხვა სასწავლებელში. $189^{6}/_{7}$ სამოსწავლო წელს სკოლაში სწავლობდა 40 ვაჟი და 12 ქალი, ამათგან გაათავეს სწავლა 13 ვაჟმა და 5 ქალმა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სტეფანწმინდის სკოლა ერთად ერთი სკოლაა მთელს ხევში და ყველა სოფლიდგან ამ სკოლაში მოჰყავთ ქალები და ვაჟები სასწავლებლად, მაშინ ზემოხსენებული რიცხვი ცოტად გეჩვენებათ. ამის მიზეზს ცოტა ქვევით ვიტყვი, ეხლა-კი მოვიხსენიებ, როგორ დაარსდა ჩვენი სკოლა, რომ უფრო ნათლად დავინახოთ, როგორ მიდის სწავლის საქმე.

ჯერ სამოცდაათ წლებში განსვენებული დიმიტრი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი სცდილობდა ჩაეგონებინა როგორმე ხალხისთვის, რომ სკოლა დაეარსებინათ. მთელი თავისი სიცოცხლე ამის მეცადინეობაში დალია, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდეგ მისმა ძმამ გიორგი ყაზბეგმა (გენერალ-მაიორია და ვარშავაში ჰმსახურობს) 1880 - 81 წელს დააარსა საკუთარი სკოლა, რომლითაც უნდოდა ნათლად დაენახვებინა ხალხისათვის სკოლის სარგებლობა და ამით მაინც შემდეგში გაებედვინებინა საკუთარი სკოლის დაარსება. ამ სკოლაში ბ-ნი გიორგი ყაზბეგი, მისი მეუღლე და ერთიც გლეხი პავლე დუდუშაური ასწავლიდნენ ბავშვებს, სწავლა ჩინებულად მიდიოდა, მაგრამ ვერ იქმნა და ხალხმა ვერ გაბედა ერთმანეთში სკოლისათვის ხარჯი გაეწერნათ. სკოლის საქმე ისევ შედგა. ვინც კარგად იცის ჩვენის გლეხობის ნივთიერად დაქვეითება, ის, რასაკვირველია, ვერ უსაყვედურებს გლეხობას სკოლისათვის მუნწობას. გლეხი კარგად ჰხედავს ამ დროში სწავლის სარგებლობას, მაგრამ რა ჰქმნას ბეჩავმა, როდესაც ათასი ხარჯი და გარდასახადი აწევს, სიღარიბით სული ჰხდება და რაღა სკოლის ხარჯი ეჭირება!

1890—91 წლებში განსვენებულმა მიხეილ ზაალის ძე ყიფიანმა დაიწყო ცდილობა სტეფანწმინდაში სკოლის დაარსებისათვის. სთხოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ეკისრა ხევში სკოლის დაარსება. მისმა შუამდგომლობამ გასჭრა: ამ საზოგადოებამ ყოველ-წლიურად გადასდო ხევში სკოლისათვის 200 მ. და ყველა სამოსწავლო ნივთები და წიგნები, დანარჩენი ხარჯი-კი ხალხს უნდა ეკისრა. ამ დროს დიდი მეცადინეობა გამოიჩინეს ამ საქმეში ორმა მოხევემ, ანდრია კობაიძემ და იაგორ დუდუშაურმა. ესენი თავ-განწირულობით სცდილობდნენ, რომ როგორმე გაებედვინებინებინათ ხალხისთვის დანარჩენი ხარჯის გაღება, თანაც კერძო ხელის მოწერით აგროვებდნენ ფულს სკოლის შენობის ასაგებად. კიდეც შეაგროვეს 300 მან. ამათ ცდამაც ჩაიარა: ხალხი არ დასთანხმდა სკოლისათვის ხარჯი გაეწერა.

ამ დროს არქიმანდრიტის მამა ლეონიდის მეცადინეობით კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება ხევს, სადაც მეზობელ ქისტების და მაჰმადიან ოსების წყალობით მრავალი მაჰმადიანური ზნე-ჩვეულება ჰსუფევდა. ამისათვისაც ხსენებულმა საზოგადოებამ იკისრა ხევში სკოლის დაარსება და 1892 წ. კიდეც დააარსა ს. სტეფანწმინდაში სკოლა. ანდრია კობაიძის და იაგორ დუდუშაურის შეგროვილ ფულით გადააკეთეს ძველი საეკკლესიო შენობა სასკოლოდ და გაიმართა სწავლა. თუმცა ეხლა სტეფანწმინდელებს და ამ სოფლის მახლობელ სოფლებს მუქთი სკოლა აქვთ, მაინც სკოლაში შესვლის მსურველნი იმდენნი არ არიან, რამდენიც სასურველი არის. ამისი უმთავრესი მიზეზი აი რა არის: საზოგადოთ პირველ-დაწყებითი სკოლა იმდენს ცოდნას არ აძლევს ბავშვს, რამდენსაც გლეხი მოელის სკოლიდგან. გლეხს მიჰყავს თავისი ბავშვი სკოლაში, აბარებს მასწავლებელს და ეუბნება: „აბა შენ იცი და შენმა ღმერთმა, როგორც „კაცათ მიქცევ“ ამ ბალღს. თავად ჩვენა ვართ ბნელი და ბეჩავი, პირუტყვებივით არა გვესმის რა, აგები ეს მაინც კაცად იქცეს და გაიგოს რამე ქვეყნიერობისა“.

გლეხს სულ სხვა ნაირი სკოლა ეჭირება, თუნდა იგი ორ-კლასიანიც იყოს, მხოლოდ სკოლა უნდა აძლევდეს ბავშვს იმ ცოდნას, რომელიც გლეხის არსებითს საჭიროებას შეადგენს. ამგვარ სკოლას ბავშვი უნდა მოჰყავდეს ცნობიერებაში, აუკეთესებდეს ხასიათს, ასწავლიდეს რიგიანად რუსულსა და ქართულს წერა-კითხვას, გააგებინოს ცოტა რამ სასოფლო კანონმდებლობისა და ადგილის შესაფერ ხელობას ასმენდეს. ამგვარ სკოლაში გამოვლილი გლეხი უკეთესად მოაწყობდა თავისს ცხოვრებას შინ და გარეთ, შეიძლებოდა თავისი საქმე თითონვე გაერიგებინა და თავი დაეღწია სოფლის „აბლაკატებისაგან“, თითონვე დასწერდა ყველა სოფლის ცხოვრებაში საჭირო ქაღალდს და „მოსე მწერლებს“ აღარ გაეყვლეფინებოდა. ეხლა გლეხს ეხვეწებიან შვილი სკოლაში მიაბარეო, მაშინ გლეხი შეეხვეწება, ჩემი შვილი სკოლაში მიიღეთო.

ორ-კლასიანი სკოლის დაარსება ხევში ძალიან ადვილი იყო, რომ ხევს პატრონი და გულშემატკივარი ჰყავდეს, სტეფანწმინდის სკოლის გვერდზედ არის უზარმაზარი შენობა—ძველი ყაზარმა, რომელიც დღითი დღე ინგრევა. ეს შენობა ადვილად გადაკეთდებოდა ორ კლასიან სკოლისათვის, საჭიროა მხოლოდ მთავრობამ ამ საქმეს მიაქციოს ყურადღება, ზოგი თითონ დაეხმაროს, ცოტა გლეხებს შეაწეროს; დარწმუნებული ვარ, „ქართველთა შორის, წერა-კითხვის საზოგადოებაც“ დაეხმარებოდა ამ საქმეში, მხოლოდ ვიმეორებ, ორ-კლასიანი სკოლა უნდა შეეფერებოდეს ხალხის მოთხოვნილებას, მაგრამ რაღაც საუბედუროდ სწავლა და სკოლა უკანასკნელ საქმედ არის დერჩენილი.

გ. ნათაძე

## რუსეთი

ნიჟნი-ნოვგოროდის 1896 წლ. სრულიად რუსეთის სამრეწველო-სამხატვრო გამოფენის ექსპონენტების სია, რომელთაც ხსენებულს გამოფენაზედ ჯილდო მიიღეს, ამ ჟამად უკვე დაუბეჭდიათ.

— ექიმთა საერთაშორისო მე XII კრების აღმსრულებელს კომიტეტს 7,000-მდე ნიშანი შეუკვეთნია კრების წევრთათვის. ვერცხლის ფარზედ ამოჭრილი იქნება შემდეგი ასოები: „XII C I M“, 1897 და „Moscou“. საპატიო წევრთათვისაც ცალკე საგანგებო ნიშნები იქმნება დამზადებული.

— უმაღლესის ბრძანებით სოფლის სასწავლებლებს, სამრევლო-საეკკლესიო სკოლებსა და წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლებს ხაზინამ მიწა უნდა მოუჭრას ხოლმე და სახელმწიფო ტყეებიდგან ხე-ტყე მისცეს. შუამდგომლობა მიწის მოჭრისა და ხე-ტყის მიცემის შესახებ ხსენებულ სასწავლებლების მთავრობამ, ან მზრუნველმა უნდა დაიწყოს ადგილობრივის უმაღლესის სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რომელიც შემდეგ ამ შუამდგომლობას სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განმარტებით სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარუდგენს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტს ყველა გუბერნიისა და თემის უფროსებისათვის პეტერბურგში მომხდარის სიფილიდოლოგთა კრების და დგენი

ლებანი გაუგზავნია და მიუწერია, რომ თავიანთი აზრი გამოსთქვან იმ საშუალებათა შესახებ, რომლებიც კრებამ საჭიროდ სცნო სიფილისის წინააღმდეგ სახმარებლად, — მართლა შეეფერება თუ. არა ადგილობრივს ყოფა-ცხოვრებასა და გარემოებათ კრების მიერ აღნიშნული საშუალებანი.

— უწმიდესს სინოდს მიწერილობა გაუგზავნია ყველა საეპარქიო მთავრობისათვის, რომ უკანონო ქორწინების შესახებ თვისი დადგენილებანი და გარდაწყვეტილებანი ჯერ მომჩივარსა და მოპასუხეს გამოუცხადონ ხოლმე და განუმარტონ, რომ ეს გარდაწყვეტილება უკანასკნელი არ არის, და მერე ისე გაუგზავნონ ხოლმე უწმიდესს სინოდს დასამტკიცებლად.

— როგორც ხმა ისმის, ჩრდილო-კავკასიაში მალე კადეტთა კორპუსს დააარსებენ ასე 300—400 მოსწავლისათვის. კორპუსი უთუოდ ეკატერინოდარში იქმნება დაარსებული.

— რადგანაც რკინის გზებზედ ალაყების სწორედ მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს და მთლად იმათ ავ კარგიანობაზეა დამოკიდებული ის გარემოება, რომ დღეს ასე ხშირია რკინის გზებზედ სხვა და სხვა უბედურება, გზათა სამინისტროს მომავალ კრებისათვის, რომელიც რიგაში იქნება გამართული და რომელზედაც რკინის გზის მოძრაობის ინჟენერები მიიღებენ მონაწილეობას, წინადადება წარუდგენია, რომ ახალი რაციონალური წესი და რიგი იქმნას შემუშავებული ავტომატიურ ალაყების გასასინჯადა და შესამოწმებლადა.

— ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრების წევრთათვის, მათდა გასაცნობად ყირიმისა და კავკასიის სამკურნალო წყლებისა, დაუდგენიათ, რომ დაკლებულის ფასით შეეძლოთ ხსენებულს ადგილებში წასვლა. სულ ამ მოგზაურობისათვის 26 მარშრუტია დანიშნული. მოგზაურობა დაიწყება მოსკოვიდგან. სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ წევრთ შეუძლიანთ ტფილის-ბაქო-ბათუმზედაც იმგზავრონ.

— კამისიამ, რომელიც უწმიდესს სინოდთან შესდგა და რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა პროგრამმა, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო საგნები უნდა შეასწავლონ საერო განათლებისა და სასულიერო უწყების სკოლებსა და აგრეთვე სამასწავლებლო სემინარიებში, ამ დღეებში უკვე გაათავა მუშაობა. ამ კომისიაში სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა და საერო განათლების სამინისტროთა წარმომადგენელნი იღებდნენ მონაწილეობასა.

— პეტერბურგის საარქეოლოგო ინსტიტუტში შესვლის მსურველთ თხოვნის წარდგენა ამ მიმდინარე წელს მხოლოდ 1 ლ ოქტომბრამდე შეუძლიანთ; ამაზედ გვიან თხოვნებს აღარ მიიღებენ.

— საფრანგეთის პრეზიდენტს პეტერბურგში მობრძანების სახსოვრად ადგილობრივი ფრანგთა ახალშენი საჩუქრად ოქროს მედალსა და საუცხოვოდ ნამუშავარს ოქროს ნიჩაბსა და ოქროსს ტარიანს ფილადის ჩაქუჩს უმზადებს, რადგანაც განზრახვა აქვთ ფელიქს ფორის პეტერბურგში ყოფნის დროს ჩაჰყარონ საძირკველი ფრანგთა საზოგადოების სამკურნალო-საავადმყოფოსი ვასილის კუნძულზედ.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ბერლინიდგან იუწყებიან, რომ გერმანიის იმპერატორს რუსეთში თან წაჰყვებიან კანცლერი თავადი ჰოჰენლოე და ახლად დ ნიშნული გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს სეკრეტარი ბიულოვი.

—

**საბერძნეთი.** ათინიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Local Anzeiger“-ს: ტყვე-ბერძნებს სალონიკიდგან კონსტანტინეპოლში ჰგზავნიან. ოსმალეთის ყველა ის აფიცრები, რომელნიც დროებით ვოლოში იყვნენ დათხოვნილნი, საჩქაროდ გამოწვეულ იქმნენ დომოკოსში და იქვე წავიდა ლარისიდგან ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი ედხემ-ფაშა. ამ გარემოებამ და აგრეთვე ოსმალეთის მოწინავე რაზმის ჯარის კაცთა უწესრიგო ყოფაქცევამ, მეტად დააფიქრა ათინელები.

„Fremdenblatt“-ის სიტყვით, იმ კომიტეტმა, რომელიც დახმარებას უწევდა თესალიიდგან გამოხიზნულთ, საჯაროდ გამოაცხადა, რომ გაჭირვებულთ ვეღარ აღმოუჩენ შემწეობასო, რადგან ფული სულ გამომელიაო. ამის გამო, დასძენს გაზეთი, 40,000 კაცი იძულებულია შიმშილით მოკვდეს. მთავრობა ახალი საშვალების გამოძებნას შეუდგა, მაგრამ თითონაც არაფერი აქვს და თესალიელთ საიდგან დაეხმარებაო.

— მიუხედავად ასეთის გაჭირვებისა, საბერძნეთის მეფის სიტყვით, რომელთანაც ლაპარაკი ჰქონია ინგლისელს გარრის, თუ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავი მალე იქმნება შეკრული, ეს უკანასკნელი შესძლებს სულ ცოტა ხანში გადაიხადოს სამხედრო ჯილდო და ამ რიგად თესალიაც განთავისუფლებული იქმნება ოსმალების ხელიდგან და ევროპასაც აღარ დასჭირდება ცალკე კომისიის დანიშვნა, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს საბერძნეთის ფინანსებსაო.

—

**ოსმალეთი.** გაზ. „Post.“ დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: „ოსმალთა უკმაყოფილება დღითი-დღე ჰმატულობს. ხალხი მეტად აღელვებულა სულთანის და ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამ დღეებში ილდიზ-კიოსკის (სულთანის სასახლეა) კედლებზე ქაღალდები გააკრეს, რომლებშიაც ფადიშაჰს ემუქრებიან, ცუდის სიტყვებით იხსენიებენ. ვინც ოსმალეთის ახლანდელ ვითარებას კარგად გაიცნობს, აშკარად დაინახავს, რომ სულთან აბდულ-ჰამიდი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. აი ამიტომ, თუმცა სულთანი თანახმაა ევროპის წინადადებაზე ზავის შესახებ, მაგრამ მინისტრები აფრთხილებენ და ნებას არ აძლევენ მიიღოს იგი, რადგანაც თანხმობას ცუდი შედეგი მოჰყვებაო. სწორედ ამის ბრალია, რომ სულთანს ჯერ-ჯერობით ვერაფერი გადაუწყვეტია. ან-კი როგორ უნდა გადასწყვიტოს, როდესაც კაცი ორ წყალსშუაა და არ იცის როგორ მოიქცეს. ერთის მხრით ევროპა ემუქრება და, ეჭვი არ არის, აასრულებს კიდეც თავისს დამუქრებას, თუ ოსმალეთი არ დასთანხმდა, მეორეს მხრით, ხალხი აღარ ასვენებს, არეულობას მოვახდენთ, თუ ევროპის წინადადება მიიღეო.“ ზემო აღწერილს გაზ. „Nordevt. Allgem. Zeit.“ იმასაც უმატებს, რომ სულთანმა ყოველივე ავტორიტეტი დაჰკარგა მინისტრების და ხალხის თვალშიო. ხალხი მინისტრთა მომხრეა და სულთანის მოწინააღმდეგეო. სულთანის მხარი მხოლოდ გვარდიას-ღა უჭირავსო, მაგრამ მალე ისიც, თავს გაანებებს და ამ რიგად ბრწყინვალე მეფე მარტოდ მარტო დარჩებაო.

## ნაკვესი

—

ერთმა ამერიკელმა ჰკითხა ერთხელ თავისს მეგობარს, ომიდგან ახლად დაბრუნებულს:

— ერთი კაცი მაინც მოკალი ომშიო?

— ერთის შესახებ-კი ნამდვილად გეტყვი, რომ მოვკალიო, უპასუხა მან: ბულლრენეში ბრძოლის დროს გავარდა თუ არა პირველი თოფი, გავიქეცი. უკან მტრის ჯარის-კაცი გამომიდგა და ათი ვერსი სულ სირბილით მომყვებოდა. ისე მოიქანცა საცოდავი, რომ დაეცა და იქვე სული განუტევა.

### ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გუშინ მოგახსენეთ ზოგიერთი მაგალითი, იმის დასამტკიცებელი, რომ ადამიანი ზოგჯერ წინადვე იგრძნობს ხოლმე, როდესაც უბედურება რამ მოელის. ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი სასიხარულო ამბავსაც იგრძნობს ხოლმე. მეაფთექე ტომასის ჰყავდა ერთი ბიძა, რომელთანაც არც მიწერ-მოწერა ჰქონია და არც სხვა რამ დაახლოვებული კავშირი. ერთის სიტყვით, ტომასისთვის სულ ერთი იყო, ჰყავდა სადმე ეს ბიძა თუ არა. ერთხელ სიზმარში ჰნახა, ვითომ ეს ბიძა მოჰკდომოდა და მისი ქონება ტომასის დარჩენოდა. მეორე დღეს დეპეშა მიიღო, თქვენი ბიძა გარდაიცვალა და მისი ქონება თქვენ გერგებათ, ვითარცა კანონიერს მემკვიდრესაო. თვით ამ ტომასის დედა ხშირად გაიგებდა ხოლმე, როცა შვილი ავად გახდებოდა და თითონ წავიდოდა ხოლმე სასწავლებელში შვილის სანახავად.

ასეთის მაგალითების მოყვანა ასობით შეიძლება. ეხლა ეს ვიკითხოთ, რატომ არ არის შესაძლებელი, რომ ადამიანს ხუთ გრძნობათა გარდა კიდევ სხვა გრძნობაცა ჰქონდეს, რომლის შემწეობითაც შეუძლიან დაფარული და საიდუმლო რამ გაიგოს. ყველას კარგად მოეხსენება და, გვგონია, ყველასთვის თავზედ გამოუცდია, რომ ხშირად მოხდება ხოლმე და სწორედ ის კაცი შეგვხვედრია, რომლის ნახვაც მოგვნატრებია ან გაგვხსენებია.

რით აიხსნება ამ გვარი წინაგრძნობა ადამიანისა? სასწაულს რასმეს წარმოადგენს იგი, თუ ეს გრძნობაც ბუნების კანონს ემორჩილება? ამის პასუხის მოგება მეტად ძნელია.

ჩვენ მხოლოდ შევატყობინებთ მკითხველს შინაარსს მეცნიერის კრუკსის მოხსენებისას, რომელიც ლონდონში იქმნა წაკითხული. ყველამ კარგად იცის, რომ ხმაურობა, სინათლე, სითბო მაგნეტიზმი და ელექტრონის ძალა წარმოსდგება ჰაერის მოძრაობისაგან. წარმოვიდგინოთ, რომ საათის ენა ერთ წამში ორჯერ გაქანდება და შევადგინოთ ასეთი ნუსხა:

| ხარისხი | ერთს წამში გაქანდა |
|---|---|
| 1-ლი . . . | 2-ჯერ |
| 2 . . . | 4 |
| 3 . . . | 8 |
| 4 . . . | 16 |
| 5 . . . | 32 |
| 6 . . . | 64 |
| 7 . . . | 128 |
| 8 . . . | 256 |
| 9 . . . | 512 |
| 10 . . . | 1,024 |
| 15 . . . | 32,768 |
| 20 . . . | 1,018,576 |
| 25 . . . | 33,554,432 |
| 30 . . . | 1,073,741,824 |
| 35 . . . | 34,359,738,368 |
| 40 . . . | 1,099.511,627.776 |
| 45 . . . | 35,184.372,088,832 |
| 50 . . . | 1,125,899,706,842,624 |
| 55 . . . | 36,028,707,018,963,968 |
| 56 . . . | 72,057,594,037,927.936 |
| 57 . . . | 144.115,188,075,855,872 |
| 58 . . . | 288,220,376,151,711,744 |
| 59 . . . | 576,440.752,303,423,488 |
| 60 . . . | 1,152,881,504.606,846,976 |
| 61 . . . | 2,305,763,409.213.693,952 |
| 62 . . . | 4,611,526,018,427,387,904 |
| 63 . . . | 9,223,052,036,854,775,808 |

მე-5 ხარისხიდგან დაწყებული 15 ხარისხამდე (32—32,678) ჰაერი მოძრაობს და ამ მოძრაობისა გამო ხმაურობა იბადება. ამის შემდეგ რა ხდება, როდესაც ჰაერი უფრო სწრაფად მოძრაობს ე. ი. მე-63 ხარისხამდე—ჩვენ არ ვიცით. ის-კი ვიცით, რომ ეთირის მოძრაობისაგან მე-16 ხარისხიდგან დაწყობილი 35 ხარისხამდე იბადება ელექტრონის ძალა. რა ხდება შემდეგ, როცა ეთირი უფრო ძლიერად მოძრაობს — არც ეს ვიცით. არ ვიცით მხოლოდ 45 ხარისხამდე. შემდეგ-კი, როდესაც ეთირის მოძრაობა მიაწევს 450 ბილიონს — იბადება წითელი სინათლე და 750 ბილიონის მოძრაობის დროს (ერთს წამში) იბადება ლურჯი სინათლე. რა ემართება ეთირს, 58 ხარისხიდგან დაწყობილი 63 ხარისხამდე — ჯერ არც ეს ვიცით. შესაძლებელია, რომ ამ მოძრაობის დროს იბადებოდეს რენტგენის სინათლე. მეცნიერი კრუკსი ამბობს, ჩემის აზრით სწორედ ამ ციფირებით თუ აიხსნება ყველა საოცარი და გამოურკვეველი მოვლენა, რომელიც ჩვენ გვაკვირვებსო. ხომ შესაძლებელია, ამბობს კრუკსი, რომ კაცის ტვინისაგან გაჩნდეს მოძრაობა და სისწრაფით გადაეცეს მეორე კაცის ტვინს. თუ ეს ასეა, მაშინ საოცარიც აღარაფერია. მერე რატომ ყველა კაცის ტვინზედ არა მოქმედობსო ეს მოძრაობა, — იკითხავთ. იმიტომ, რომ საჭიროა მეორე კაცის ტვინიც მომზადებული იყოს ამ მოძრაობისთვის. რენტგენისა და მარკონის გამოგონების შემდეგ არაფერია საკვირველი, რომ მეცნიერებმა ისიც გამოიკვლიონ, როგორ მოხდება ხოლმე, რომ ერთის კაცის აზრსა, ფიქრსა და სურვილს მეორე იგებს. ამგვარად, თუ კრუკსის აზრი დამტკიცდა, ეს გადაცემა აზრისა და ფიქრისა და წინადგრძნობა ადამიანისა არაფერი საკვირველი იქმნება და დამტკიცდება, რომ ყოველივე ეს მოვლენა ბუნების იმავე კანონებს ემორჩილება, როგორც სხვა ფიზიკური რამ მოვლენა.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

1895 წელს შემოდგომაზედ, თ. რაფიელ ერისთავის იუბილეის დროს ჩვენ გავმართეთ ხელის-მოწერა დაბა ხაშურში იუბილარის ფონდის სასარგებლოდ. სწორედ იმ დროს მე გადამიყვანეს სხვა ადგილას, ხელის მოწერა ვეღარ განვაგრძე და შეკროვილი ფული, რიცხვით ხუთი მანათი, გარდავეცი მღვდელს მამა დიმიტრი ტატიშვილს რედაქციაში წარსაგზავნად. ეს მეორე წელიწადი მიდის და იმ ფულის ანგარიში-კი არსად შეგვხვედრია. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამდენის ხნის სიყუჩე მიეწერება დავიწყებას იმიტომ. რომ მამა დიმიტრი ტატიშვილს ვიცნობთ როგორც პატიოსანს კაცს და ყოველ კეთილ საქმეში გულშემატკივარსა და თანამგრძნობს.

იმედია, ეხლა მაინც მოიგონებს პატივცემული მ. დიმიტრი იმ ფულს და წარადგენს ერთ-ერთ რედაქციაში, რითაც პირნათლად გამოიყვანს საზოგადოებასთან თავის თავსაც და ჩვენც.

ლამის-ყანის მასწავლებელი გ. საყვარელიძე

## განცხადებანი


**არკაშონის ინტერნაციონალური გამოფენა.**

ინტერნაციონალური გამოფენა, რომელიც 15 მკათათვეს დაიწყება არკაშონში, იმყოფება ქალაქის საბჭოს მფარველობის ქვეშ. გამოფენა შეიცავს ყოველ გვარ ნაწარმოებს ვაჭრობისას, მრეწველობისას, ხელოვნებისას, ჰიგიენისა, სანოვაგისას, მშვენიერ ხელოვნებათა და სხვა. რუსეთის საიმპერატორო საკომერციო და სამანუფაქტურო დეპარტამენტმა აღგვითქვა მონაწილეობის მიღება რუსეთის ვაჭრებისა და ეს გამოცხადებული იყო უცხოეთის გაზეთებს „Messager officiel“-ში და „Messager des finances del' Industrie“-ში. განცხადებანი მონაწილეობის მიღების შესახებ შეიძლება გამოიგზავნოს ამწლის 1/11 აგვისტომდის.

არკაშონი, რომელიც იმყოფება ერთის საათის მანძილზედ ბორდოდგან, როგორც ბალნეოლოგიური ალაგი, ძალიან იზიდავს ტურისტებს და აგრეთვე მოაგარაკე ფრანგებსა და უცხო ქვეყნელებს. იგი ფრიად შემკობილია თავისის ზღვის ნაპირა მდებარეობით, კაზინოებით, თეატრითა, სასეირნო და გასართობ ადგილებით.

ამ გვარად გამოფენა, ეჭვი არ არის, დიდად იმოქმედებს და მრავალ ხალხს მიიზიდავს.

ყოველ გვარ ცნობებისთვის მიჰმართონ გამოფენის დირექციას არკაშონში და აგრეთვე საფრანგეთის ელჩებს რუსეთში. (1—უ.—1)

**იყიდება**

კვირაცხოვლისა და „ობშჩესტვენი“ ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში ცალიერი ადგილი 70 ოთხ-კუთხი საჟ. საშენობო მასალით.

მსურველმა მიჰმართოს: დიდ „ვოდოვოზნი“ ქუჩაზედ, აივაზოვის სახლის ეზოში ე. თ. (7—183—2)


ივერიის რედაქციისაგან

ვაუწყებთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარის წლის ფული აქვს შემოტანილი, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ არ წარმოადგინეს დანარჩენი ფულიც.

ამასთან ვაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთი მანეთი, ხოლო სხვა ყოველის ადრესის შეცვლისათვის-კი — ორი აბაზი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 11-го Іюля 1897 г. სტამბა ტ. მარტიროსიანცის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.